

საკრალური სივრცული მოდელები ადრე შუა საუკუნეების ქართულ
ხუროთმოძღვრებაში

მარიამ გვირაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო აბაკელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

ნაშრომის ფოკუსი საკრალური სივრცული მოდელებია ადრე შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, რომლებიც ადრე ქრისტიანთა შეკრებისა და თაყვანისცემის საკრალურ სივრცეებს წარმოადგენდნენ.

ნაშრომის მიზანია ქრისტიანული საკრალური სივრცეების ფორმების ნაირფერობის და სტრუქტურების გამოვლენა.

აღნიშნული საკითხის კვლევისას ვეყრდნობით ხელოვნების ისტორიკოსების ნაშრომებს (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, ლ. ჩუბინაშვილი, დ. თუმანიშვილი, და სხვები), ძველ და ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს (ნ. ბახტაძის მიერ არქეოლოგიური გათხრების შედეგებს), ზ. კიკნაძის მატთანეთა ანალიზს და სხვ.

გარდა ამისა, სხვა კვლევებისგან განსხვავებით, წინამდებარე ნაშრომის მნიშვნელოვან წყაროს საკრალური სივრცეების რეკონსტრუქციისათვის წარმოადგენს ეთნოლოგიური კვლევები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება დამატებითი საკრალური სივრცეების რეკონსტრუქცია, რომელიც თავისი სტრუქტურით ადრე ქრისტიანულ პრაქტიკაში ჩადის.

ნაშრომი შედგება: შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან:

პირველ თავში, რომლის სათაურია *ადრე ქრისტიანული სივრცეების შესახებ ანუ საკითხის ისტორიისათვის*, განხილულია, ზოგადად, საქრისტიანოში გავრცელებული სივრცული მოდელების მრავალფეროვნება, რომლებიც გამოიყენებოდა ქრისტიანული კულტმსახურებისთვის. მეორე თავში: *ადრე ქრისტიანული საკრალური მოდელები და ლიტურგია ქართულ რეალიაში* განიხილება ნეკრესის მცირე სამლოცველო, დოლოჰოპის სამნავიანი ბაზილიკა, *საკურთხევლის წინა ჯვრების ფუნქციები და დანიშნულება საკრალურ სივრცეში*. მესამე თავი ეხება ადრე ქრისტიანული საკრალური სივრცეების კონსტრუირებისა და ფუნქციონირებას ეთნოგრაფიულ ყოველდღიურობაში, რომელშიც ეთნოგრაფიულ ფაქტებზე დაყრდნობით ნაჩვენებია თუ როგორ კონსტრუირდება საკრალური სივრცე ისეთ სეკულარულ ნაგებობაში, როგორადაც მარანი მიიჩნეოდა.

კვლევის წყაროს წარმოადგენს: წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა და ასევე, სპეციალური ლიტერატურა. ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და ეთნოგრაფიული მეთოდი.

ნაშრომი მთავრდება დასკვნით, რომლის მიხედვით სივრცე არ არის სტატიკური და რომ ის იცვლება დროთა განმავლობაში მისი რიტუალური ელემენტების მეშვეობით და მათი მნიშვნელობების შესაბამისი ცვლილებებით.

მთავარი სიტყვები: ქრისტიანული სივრცე, სახლის ეკლესია, დომუს-ეკლესია, მარტირიუმი, ბაზილიკა, მარანი, ადრე ქრისტიანული პრაქტიკა

Abstract

Sacred spatial patterns in the Early-Christian Georgian architecture

The present study focuses on the sacred spatial patterns in the Early-Christian Georgian architecture which served as meeting and worship places for early Christians.

The study aims to reveal and examine multifarious sacred spaces and their structures. For that purpose the investigation is based on the scientific works of the historians of art (G.Chunibashvili, V.Beridze, L.Cubinashvili, D. Tumanishvili and others), old and new archaeological findings (the results and issues of N.Bakhtadze's archaeological excavations), Z. Kiknadze's analysis of historical Chronicles, etc.

Distinct from other studies the present study uses ethnographical data and ethnological investigations as important sources for the purpose of reconstruction of sacred spaces, which in turn could be traced back to early Christian practice.

The present study comprises: introduction, the three chapters and conclusion.

In the first chapter the title of which is – *On the Christian spaces or concerning the history of the problem* – multifarious spatial patterns used for the worship and widely spread throughout Christendom are examined.

In the second chapter – *Early Christian sacred patterns and liturgy in Georgian reality* – small size sanctuary of Nekresi, three nave basilica of Dolochopi is examined and the functions and meanings of big crosses in front of iconostases are discussed. The third chapter concerns construction and functioning of Christian sacred spaces in the ethnographic everydayness and how sacred spaces are constructed in such a secular building as *marani* (wine store house) is.

The sources of investigation are: historical chronicles, archaeological and ethnographic data and special literature. The study uses historical-comparative and ethnographic methods and ends with the conclusion, according to which space is not static and that it changes over time through its ritual elements (objects) together with the corresponding changes in their meanings.

Keywords: Christian space, house church, Domus-Ecclesiae, martyrium, basilica, wine-store house, early-Christian practice